კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	**ეკონომიკა (Economics) მაინორი** (minor)
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	
ფაკულტეტის დასახელება	**ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	**ასოცირებული პროფესორი - შოთა ლომინაშვილი**
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამა ხორციელდება 6 სასწავლო სემესტრის განმავლობაში პროგრამის მოცულობა - 60 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2015 წელს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსი.

პროგრამის მიზნები

- მისცეს სტუდენტს მიკრო, მაკრო და მეგა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელი ძირითადი დებულებებისა და კატეგორიების გაცნობიერების აუცილებელი ელემენტარული თეორიული ცოდნა;
- ჩამოუყალიბოს სტუდენტს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გარკვეული სპექტრი ეკონომიკური მოვლენების ანალიზის, ეროვნული ეკონომიკის სექტორებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მართვის სფეროებში;
- მიღებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების საფუძვლზე, გახადოს სტუდენტი კონკურენტუნარიანი დასაქმების ბაზარზე;
- შეუქმნას სტუდენტს საფუძველი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სწავლების მომდევნო საფეხურზე, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)
(სწავლის შედეგების რუქა ახლავს, იხ. დანართი 1)

ცოდნა და გაცნობიერება	➢ ეკონომიკის მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე ფუნქციონირების კანონზომიერებების გააზრება; ➢ ეკონომიკის თანამედროვე პრინციპებისა და კვლევის მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება;
უნარები	➢ ეკონომიკური პროცესების ამსახველი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, გაანალიზება და მათ საფუძველზე სათანადო დასკვნების გაკეთება; ➢ ეკონომიკის პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება, აღწერა, სიმწვავის შეფასება და მათი გადაჭრის გზებისა და მეთოდების შერჩევა; ➢ ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით, დაგეგმილი კვლევის შესაბამისი საქმიანობის წარმოება; ➢ ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე არგუმენტირებული მსჯელობა, საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება და წერილობითი დასკვნის ფორმულირება; ➢ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით, ეკონომიკურ პრობლემებზე შესაბამისი კვალიფიკაციის ნაშრომის შექმნა;

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	

სწავლების მეთოდები

- საკონტაქტო:

• საკონტაქტო:

√ **ლექცია** - სტუდენტებისადმი სისტემატურად და თანმიმდევრულად სასწავლო მასალის გადაცემა, განსახილველი თემის ან რაიმე საკითხის ახსნა-განმარტება. იგი აქტიურია, როცა იღებს დიალოგის სახეს, ხოლო პასიურია მონოლოგის ფორმით;

√ **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** - სტუდენტების მიერ ერთობლივი ან ინდივიდუალური მცდელობა წინასწარ მიცემული საკითხის ან თემის შესახებ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. მიზანშეწონილია გაუგებარი და ძნელად გასაგები საკითხების განმეორებით განხილვა;

• **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა -** სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წარმატებით ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის (შრომის) რაოდენობაა ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაცნობა-შესწავლიდან - ჯგუფურ მუშაობამდე და/ან შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადებისათვის.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის მოცულობა არის 60 კრედიტი და მესამე სემესტრიდან ძირითად პროგრამასთან ერთად 10-10 კრედიტი ესწავლებათ.

სასწავლო გეგმა იხ დანართი 2.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:

- **სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში***(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)*-30 ქულა;
- **შუალედური გამოცდა- 30 ქულა;**
- **დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.**

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) **(C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).

- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
- თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.
- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.

- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შენიშვნა: შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით:
საფუძველი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სასწავლო კურსების სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური პროფილის და კერძო სექტორის სამრეწველო სავაჭრო და სხვა პროფილის საწარმოების დაბალი საფეხურის სამსახურები.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

დამატებით (minor) პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:

პროგრამას ემსახურება ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკონომიკისა და ტურიზმის და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტების სხვადასხვა მიმართულების აკადემიური პერსონალი და მოწვეული აკადემიური დოქტორები.

მათ შორის

პროგრამა	სრული პროფესორი	ასოცირებული პროფესორი	ასისტენტ პროფესორი	მოწვეული (ეკონ. დოქტორი)
ეკონომიკა **(minor)**	3	7	0	1

ეკონომიკის (minor) პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-ს კორპუსები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები და ტექნიკა (მათ შორის. საპროექციო და სხვა სადემონსტრაციო აპარატურა), სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, პანდუსები (ინკლუზივი სტუდენტებისათვის) და ა.შ. კომპიუტერული ცენტრები.

სასწავლო გეგმა 2020-2021
დამატებითი (minor) პროგრამა - ეკონომიკა

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	ძირითადი კურსები (50 კრედიტი)															
1	საქართველოს ეკონომიკა**	5	125	45	4	76	1/2/0/0			5						
	ეკონომიკის პრინციპები 1		125	60	4	61	2/2/0/0									
2	ეკონომიკური აზრის ისტორია	5	125	45	4	76	22,5/0/0/22,5			5						
3	სოციოლოგიის საფუძვლები**	5	125	45	4	76	2/1/0/0				5					
	ეკონომიკის პრინციპები 2		125	60	4	61	2/2/0/0									1
4	სტატისტიკის თეორია	5	125	45	4	76	22,5/0/0/22,5				5					
	ეთიკა და ეკონომიკური ფსიქოლოგია**		125	45	4	76	2/0/0/1									
5	მიკროეკონომიკა	5	125	45	4	76	22,5/0/0/22,5					5				
6	საჯარო ფინანსები	5	125	45	4	76	1/0/0/2					5				
7	ეკონომიკური სტატისტიკა	5	125	45	4	76	22,5/0/0/22,5						5			4
8	მაკროეკონომიკა	5	125	45	4	76	22,5/0/0/22,5						5			
9	ფისკალური და მონეტარული სტატისტიკა**	5	125	45	4	76	22,5/0/0/22,5							5		

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
	ეკონომიკური ანალიზი		125	45	4	76	1/2/0/0									
10	საერთაშორისო ეკონომიკა 1	5	125	45	4	76	1/2/0/0							5		
11	საერთაშორისო ეკონომიკა 2	5	125	45	4	76	1/2/0/0								5	10
12	ეროვნულ ანგარიშთა სისტემა	5	125	45	4	76	1/2/0/0								5	
	სულ	60	1500							10	10	10	10	10	10	